



ადამიანური რესურსების აუდიტი



- სტრატეგიული დაგეგმვა, ორგანიზაციული ცვლილება და ხარისხი
- ადმინისტრაციული და საჯარო მენეჯმენტი
- ქონების, ადამიანური და ფინანსური რესურსების მენეჯმენტი
- ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები
- მართვა მიზნებით და შრომითი შედეგების შეფასება
- ეთიკა, გენდერული თანასწორობა, ჩართულობა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა
- შრომის კანონმდებლობა
- საჯარო ინფორმაცია და კომუნიკაცია
- ინგლისური ენა

- მიზნებზე ორიენტირებულობა
- დაგეგმვა და ორგანიზება
- ხელმძღვანელობა და ხალხის მართვა
- რესურსების ოპტიმიზაცია
- სტრატეგიული ხედვა
- გადაწყვეტილება
- განვითარება და სხვების მოტივირება
- ინოვაცია და ცვლილებებზე ორიენტირებულობა
- კომუნიკაცია
- პიროვნებათაშორისი ურთიერთობა
- მოლაპარაკება და დარწმუნება
- წნეხის და არახელსაყრელი პირობების მიმართ შემწყნარებლობა
- გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა
- უსაფრთხოებასა და დაცულობაზე ორიენტირებულობა

სატრენინგო კურსები



ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვაზე ორიენტირებული ეტაპს მოიცავს:

ეტაპი 1: ტრენინგის ჩატარება ტრენერებისთვის, კერძოდ, იმ პირებისთვის, რომლებიც პარტნიორ უნივერსიტეტებში წარმოადგენენ ექსპერტებს ადამიანური რესურსების მართვასა და პერსონალის განვითარების სფეროში და რომლებიც შემდგომში, თავის მხრივ, გაწვრთნიან აკადემიურ და ადმინისტრაციულ მენეჯერებს და პერსონალს თითოეულ პარტნიორ უნივერსიტეტში (ეტაპი 2). ეს ტრენინგი შემოთავაზებული იქნება ევროპელი პარტნიორების მიერ (ესპანელები და პორტუგალიელები) ევროპის შესაბამის ქვეყნებში.

ტრენინგი არ-ის მართვაში, 2014 წლის 27-31 ოქტომბერი, IST, ლისაბონი
 ტრენინგი არ-ის მართვაში, 2014 წლის 17-21 ნოემბერი, UPC, ბარსელონა

ეტაპი 2: ტრენინგ-სემინარების ჩატარება ადამიანური რესურსების მართვის იმ პროცესებში, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება კონკრეტულ პარტნიორ უნივერსიტეტს აუდიტორი სამუშაო პაკეტიდან გამომდინარე, სადაც იდენტიფიცირებული იქნა თითოეული უნივერსიტეტის სუსტი მხარეები და განისაზღვრა შემდგომი განვითარების არეალი. ამ ტრენინგ-სემინარების მიზანია აკადემიური და ადმინისტრაციული მენეჯერებისა და პერსონალის კომპეტენციების განვითარება. ეს ტრენინგი შემოთავაზებული იქნება ყაზახი, სომეხი და ქართველი პარტნიორების მიერ.

ეტაპი 3: ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ თემებზე სემინარების ორგანიზება, რათა პროექტის ფარგლებში სიღრმისეულად იქნას მოცული ყველა საკითხი. ეს სემინარები შემოთავაზებული იქნება ევროპელი პარტნიორების მიერ.

სტრატეგიული გეგმის აქტივობები



- ✓ სესიები ზოგიერთი კონცეფციის, ტერმინოლოგიისა და მეთოდოლოგიის ერთიანობაში მოსაყვანად
- ✓ სტრატეგიულ დაგეგმვაზე მუშაობა დაგეგმვის კომისიასთან ერთად
- ✓ თითოეული სტრატეგიული ღერძის (მიმართულების) მიხედვით განსაზღვრული ამოცანების მიმოხილვა
- ✓ ბალანსირებული მაჩვენებლების შექმნა
- ✓ სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და კომუნიკაცია



ტექნიკური კომპეტენციები

ქვეყნითი კომპეტენციები